ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: 18-0118 313155
თარიღი: 11/05/2018

ადრესატი: შპს ელიტ კონსტრაქშენ
საიდენტიფიკაციო ნომერი: 405023139
მისამართი: საქართველო, თბილისი, მგკე-საბურთალო რაიონი, მარიკა ბარათაშვილის ჩიხი №16

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა განიხილა თქვენი 2018 წლის 23 მარტის #10/0118082478-18 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ჩვენი სამსახურის მიერ გაცემული ნებართვის (22.12.2017 #18-011735562117) თანახმად დაკისრებული ვალდებულების ცვლილებას. კერძოდ მწვანე ნარგავების გადარგვას მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ნაცვლად თქვენი კუთვნილი ტერიტორიისა.

გაცნობებთ, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის #17-55 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ (შემდგომში მოხსენებული, როგორც „დადგენილება“) 21-ე მუხლის შესაბამისად და თქვენს მიერ წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნის გათვალისწინებით, ვინაიდან მწვანე ნარგავები ექვემდებარება გადარგვას, ასევე, მწვანე ნარგავების გადარგვას ეწინააღმდეგება უპირატესობა მოჭრასთან მიმართებით და მითითებულ ტერიტორიაზე გადარგვის შემთხვევაში შენარჩუნდება ტერიტორიის ეკოლოგიური წონასწორობა. სამსახური თანახმაა 4 (ოთხი) ძირი #2; #3; #4; #5 მარადმწვანე ჯვიპაროზი და 2 (ორი) ძირი #6, #7 ამერიკულ იფანი გადაირგოს თქვენს კუთვნილი ტერიტორიის ქ. თბილისი, ანნა პოლიტკოვსკაიას ქუჩა #29/31 ს.კ 01.14.05.006.098) წითელი ხაზის მიმდებარედ, ანნა პოლიტკოვსკაიას ქუჩის გასწვრივ, თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებულ გამწვანებულ თარგში (ს.კ.01.14.05.006.111). გადარგვა უნდა განხორციელდეს ნებართვის მიღებიდან პირველსავე არასავეგეტაციო პერიოდში აგროტექნიკური ნორმების დაცვით და ჩვენი სამსახურის სპეციალისტის ზედამხედველობით.

მწვანე ნარგავების გადარგვის ნებართვა გაიცემა 1 წლის ვადით, ხოლო გადარგული მწვანე ნარგავების მოვლის სამუშაოების ხანგრძლივობა განისაზღვრება 3 წლის ვადით.

ნებართვის მიმღები გალდებულია გადარგვის დაწყების თარიღი და დროის ინტერვალი წერილობით აცნობოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურს ზედამხედველობის გაწევის მიზნით (გადარგვის დაწყებამდე არანაკლებ 2 სამუშაო დღით ადრე). წინააღმდეგ შემთხვევაში, მწვანე ნარგავების გადარგვა ჩაითვლება უკანონოდ.

გადარგვის განხორციელების შემდეგ, ყოველ კვარტალში ერთხელ უნდა წარმოადგინოთ გადარგული ხე-მცენარეების მდგომარეობის შესახებ ანგარიში და შესაბამისი ფოტომასალა.

აქვე გაცნობებთ, გადარგვიდან 3 წლის განმავლობაში მწვანე ნარგავების გახმობის შემთხვევაში დაგეკისრებათ საკომპენსაციო რგვის ვალდებულება.

სამსახურის მოთხოვნით, განმეორებით გადამოწმდა ტერიტორიაზე არსებული ელდარის ფიჭვის ზოგადი ფიზიკური მდგომარეობა აიპ „საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის“ მცენარეთა დაცვის ლაბორატორიაში და დადგინდა, რომ შესწავლილი მცენარე არ არის დაავადებული სოკოთი და არის სრულიად ჯანსაღი. შესაბამისად, ვინაიდან სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ (ბრძანება #3029480) გაცემული მშენებლობის ნებართვა, ხოლო აღნიშნული ხე განთავსებულია სამშენებლო ტერიტორიაზე, ცალსახად აფერხებს სამშენებლო სამუშაოებს. დადგენილების 26-ე მუხლის პირველი პუნქტი

„გ" ქვეპუნქტის საფუძველზე, სამსახური გასცემს 1 (ერთი) ძირი ელდარის ფიჭვის (დასახელება 57.3სმ ხნოვანება 68 წელი) მოჭრის ნებართვას მას შემდეგ. რაც წარმოადგენთ ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების შესაბამის საკომპენსაციო ღონისძიების განხორციელების-აღდგენითი ღირებულების თანხის გადახდის ქვითარს, რომელიც შეადგენს 6800 (ექვსიათას რვაასი) ლარს (საბიუჯეტო შემოსავლების სახაზინო კოდი-#300773292 ბანკის კოდი-TRESGE22).

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესაძლოა გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

პატივისცემით,

გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური-პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი)

გიგა გიგაშვილი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **18-0118142467**
თარიღი: **22/05/2018**

ადრესატი: შპს ელიტ კონსტრაქშენ
საიდენტიფიკაციო ნომერი: 405023139
მისამართი: საქართველო, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, მარიკა ბარათაშვილის ჩიხი №6, ბ. №16

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა თქვენი 2018 წლის 18 მაისის #10/0118138568-18 განცხადებით წარმოდგენილი ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების შესაბამისი აღდგენითი ღირებულების თანხის გადახდის ქვითრისა და სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის ბრძანების #3029480 გათვალისწინებით მიიღო გადაწყვეტილება ნებართვის გაცემის თაობაზე, კერძოდ:

საქართველოს კანონის „ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის განსაკუთრებული დაცვის შესახებ'' (შემდგომში მოხსენებული, როგორც „კანონი'') მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის „გ" ქვეპუნქტისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის #17-55 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესი"-ს (შემდგომში მოხსენებული, როგორც „დადგენილება'') 26-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ'' ქვეპუნქტის საფუძველზე, ვინაიდან 1 (ერთი) ძირი ელდარის ფიჭვი განთავსებულია სამშენებლო ტერიტორიაზე და ცალსახად აფერხებს სამშენებლო სამუშაოებს, ასევე დიდტანოვანი ეგზემპლარია და არ არის რეკომენდირებული მისი გადარგვა, აგრეთვე, იმის გათვალისწინებით, რომ მისი მოჭრა აკმაყოფილებს კანონის მე-6 მუხლის „გ'' ქვეპუნქტით გათვალისწინებული ხეების მოჭრის დასაშვებ მაქსიმალურ ზღვრულ ოდენობას (მოსაჭრელი ხეების რაოდენობა არ უნდა აჭარბებდეს შესაბამის ტერიტორიაზე არსებული მერქნიანი მცენარეების 25%-ს) სამსახური თანახმაა შპს „ელიტ კონსტრაქშენის" კუთვნილ ტერიტორიაზე (ქ. თბილისი, ანნა პოლიტკოვსკაიას ქუჩა #29/31 ს.კ 01.14.05.006.098) მოიჭრას 1 (ერთი) ძირი ელდარის ფიჭვი (დიამეტრი 57.3სმ ხნოვანება 68 წელი).

დადგენილების 26-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, მწვანე ნარგავების ჭრის ნებართვის მიმღები ვალდებულია ჭრის დაწყების თარიღი და დროის ინტერვალი წერილობით აცნობოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურსა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურს ზედამხედველობის გაწევის მიზნით (ჭრის დაწყებამდე არანაკლებ 2 სამუშაო დღით ადრე). წინააღმდეგ შემთხვევაში მწვანე ნარგავების ჭრა ჩაითვლება უკანონოდ. აქვე გაცნობებთ, რომ მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების მართვა უნდა განხორციელდეს საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსის" შესაბამისად. იმ შემთხვევაში თუ წარმოქმნილი ინერტული ნარჩენები გამოიყენება ამოვსების ოპერაციებისთვის ან მშენებლობის მიზნებისთვის, საჭიროა მომზადდეს პროექტი, რომელიც უნდა შეთანხმდეს შესაბამის უწყებასთან (ნარჩენების მართვის კოდექსი 21-ე მუხლის მე-5^1 პუნქტი).

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესაძლოა გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

პატივისცემით,

გიგა გიგაშვილი

გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური-პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი)

3.

საქართველო, თბილისი, 0160, ჟ. შარტავას ქ. N7, (+995 32) 237 82 09

ხელშეკრულება ხე-მცენარეთა მოჭრის მომსახურების გაწევის თაობაზე

ქ.თბილისი 25 ოქტომბერი 2018 წ.

ერთის მხრივ შპს „ელიტ კონსტრაშენი“ წარმოდგენილი მისი დირექტორის ვლადიმერ ხოდელის სახით და მეორეს მხრივ შპს “ეკოსერვის ჯგუფი“ (შემდგომში „შემსრულებელი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის ვახტანგ ნოზაძის სახით, ორივენი ერთად წოდებული როგორც მხარეები, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და შპს „ელიტ კონსტრაშენი“-ისადმი გაცემული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2018 წლის 22 მაისის N18-0118142467 წერილობითი ნებართვის საფუძველზე დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდგომში - ხელშეკრულება) შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს დამკვეთის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (მისამართი ქ.თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას ქ. #29/31 საკ/კოდი 01.14.05.006.098) 1 ძირი ელდარის ფიჭვის (დიამეტრი - 72სმ) მოჭრისათვის მომსახურების გაწევა.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 მომსახურების გაწევის ფასი განისაზღვრება ლარებში.

2.2 მომსახურების ჯამური ღირებულება განისაზღვრება **214,44** (ორასთოთხმეტი და 44) ლარით თანდართული ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად;

2.3 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადს.

3. ანგარიშსწორების წესი

3.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში შემსრულებლის რეკვიზიტებში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

3.2 ანგარიშსწორება განხორციელდება წინასწარ, მომსახურების გაწევამდე.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1 მომსახურების გაწევის შემდეგ, დამკვეთსა და შემსრულებლის უფლებამოსილ პირებს შორის უნდა გაფორმდეს მიღება–ჩაბარების აქტი.

4.2 შემსრულებლის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტს ხელს მოაწერს სპეციალური და მოვლითი ჭრების სამსახურის უფროსი ვლადიმერ ლატარია, ხოლო დამკვეთის მხრიდან გენერალური დირექტორი რამაზ მიქაძე

5. მომსახურების გაწევის პირობები

5.1 მომსახურების გაწევა უნდა განხორციელდეს მე-2 მუხლში მითითებული თანხის შემსრულებლის რეკვიზიტებში მითითებულ საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვიდან 2 (ორი) სამუშაო დღის განმავლობაში;

5.2 მომსახურება შემსრულებლის მიერ გაწეული უნდა იქნეს სრულად საკუთარი მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით და მუშახელით;

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1 დამკვეთი უფლებამოსილია:

ა) მომსახურების გაწევის დროს განახორციელოს გაწეული მომსახურების წინამდებარე ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობის ინსპექტირება;

ბ) მოთხოვოს შემსრულებელს წინამდებარე ხელშეკრულების ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება;

6.2 დამკვეთი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს გასაწევი მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულების გაფორმებიდან ორი სამუშაო დღის ვადაში.

ბ) შეუქმნას შემსრულებელს მომსახურების გაწევისთვის საჭირო პირობები (დამკვეთის კუთვნილ ტერიტორიაზე).

გ) მინიმუმამდე დაიყვანოს მომსახურების გაწევის პერიოდში მისი ბრალეულობით შემსრულებლის ტექნიკისა და მუშახელის მოცდენის პერიოდი.

6.3 შემსრულებელი უფლებამოსილია:

ა) მოსთხოვოს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

ბ) დამკვეთის მიერ ანგარიშსწორების პირობების დარღვევის შემთხვევაში, არ გაწიოს მომსახურება.

6.4. შემსრულებელი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს მომსახურების გაწევა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

ბ) დაიცვას წინამდებარე ხელშეკრულების პირობები.

7. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

7.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

7.2 რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

7.3 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

8. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

8.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით.

8.2 მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9. ფორს-მაჟორი

9.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო, არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა.

9.2 ამ მუხლის მიზნებისათვის ,,ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული დამკვეთის ან/და შემსრულებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, შემსრულებლის ავტოსატრანსპორტო საშუალების გაუმართაობით, ტრანსპორტირების პროცესში გამოწვეული შეფერხებით და სხვა.

10. სხვა პირობები

10.1 არცერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

10.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

10.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ორი ეგზემპლარი ინახება შემსრულებელთან, ხოლო ერთი- დამკვეთთან.

10.4 ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

10.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეების მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულ შესრულებამდე.

მხარეთა რეკვიზიტები:

დამკვეთი:
შპს „ელიტ კონსტრაშენი“
მისამართი: ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი,
მარიკა ბარათაშვილის ჩიხი N6, ბ.N16
ტელეფონი: 599-566-048
ელ-ფოსტა:
საბანკო რეკვიზიტები:
ს/კ 405023139

ვლადიმერ ხოდელი
დირექტორი

”შემსრულებელი”
შპს “ეკოსერვის ჯგუფი“
მის: ქ. თბილისი, მთაწმინდის რაიონი,
ქუჩა სანაპირო, N 8 (ნაკვეთი 4/27)
ელ-ფოსტა:info@ecosg.gov.ge;
z.gegidze@yahoo.com
საბანკო რეკვიზიტები:
სს ,,ლიბერთი ბანკი“ კოდი: LBRTGE22
ა/ა № GE22LB0113124260741003
ს/კ 404553666

ვახტანგ წოწაძე
დირექტორი

1 ძირი ელდარის ფიჭვის მოჭრის მომსახურების ხარჯთაღრიცხვა

N	ხარჯის დასახელება	განზომილების ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი	ღირებულება
1	საწვავის ხარჯი:				
1.1	ბენზინი პრემიუმი (ბენზო ხერხი)	ლიტრი	2	2.31	4.62
1.2	ბუნებრივი აირი (ამწე კალათი)	მ3	20	1.38	27.60
1.3	ევრო დიზელი (მუშების ტრანსპორტირებისათვის)	ლიტრი	15	2.45	36.75
2	ხელფასის ხარჯი:				
2.1	ბრიგადირი (ერთი კაცი)	კაც/საათი	2	7.81	15.62
2.2	მჭრელი (ერთი კაცი)	კაც/საათი	2	6.25	12.50
2.3	მხერხავი (ერთი კაცი)	კაც/საათი	2	5.44	10.88
2.4	მუშა (სამი კაცი)	კაც/საათი	6	5.00	30.00
2.5	მძღოლი (ერთი კაცი)	კაც/საათი	3	5.00	15.00
				ჯამი	152.97
				ზედნადები ხარჯი 10%	15.30
				ჯამი	168.27
				გეგმიური დაგროვება 8%	13.46
				ჯამი	181.73
				დღგ 18%	32.71
				სულ ჯამი	214.44

დამკვეთი

ვლადიმერ ხოდელი
დირექტორი

შემსრულებელი

ვახტანგ ნოზაძე
დირექტორი

მიღება–ჩაბარების აქტი

ქ.თბილისი 7 ნოემბერი 2018 წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ შპს ,,ელიტ კონსტრაშენ“-ის დირექტორი ვლადიმერ ხოდელი და მეორეს მხრივ შპს “ეკოსერვის ჯგუფი“ (შემდგომში „შემსრულებელი“) წარმოდგენილი მისი სპეციალური და მოვლითი ჭრების სამსახურის უფროსის ვლადიმერი ლატარიას სახით, ვადგენთ წინამდებარე აქტს მასზედ, რომ 2018 წლის 25 ოქტომბერს გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, მეორე მხარემ გაუწია პირველ მხარეს დამკვეთის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე (ქ.თბილისში, ანა პოლიტკოვსკაიას ქ. #29/31 საკ/კოდი 01.14.05.006.098) არსებული, ხელშეკრულებით გათვალისწინებული 1 ძირი ელდარის ფიჭვის (დ=72სმ) ხის მოჭრის მომსახურება.
გაწეული მომსახურების საერთო ღირებულება შეადგენს 214.44 (ორასთოთხმეტი ლარი და 99 თეთრი) ლარს.

დამკვეთი

ვლადიმერ ხოდელი
შპს ,,ელიტ კონსტრაშენ“-ის
გენერალური დირექტორი

შემსრულებელი

ვლადიმერი ლატარია
შპს “ეკოსერვის ჯგუფი“
სპეციალური და მოვლითი ჭრების
სამსახურის უფროსი

ხელშეკრულება ხე-მცენარეთა გადარგვის
მომსახურების გაწევის თაობაზე

ქ.თბილისი 25 ოქტომბერი 2018 წ.

ერთის მხრივ შპს „ელიტ კონსტრაშენი“ წარმოდგენილი მისი დირექტორის ვლადიმერ ხოდელის სახით (შემდგომში „დამკვეთი“)და მეორეს მხრივ შპს “ეკოსერვის ჯგუფი“ (შემდგომში „შემსრულებელი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის ვახტანგ ნოზაძის სახით, ორივენი ერთად წოდებული როგორც მხარეები, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და შპს „ელიტ კონსტრაშენი“-სადმი გაცემული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2018 წლის 10 მაისის N18-01181313155 წერილის საფუძველზე დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდგომში - ხელშეკრულება) შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს დამკვეთის კუთვნილ ტერიტორიიდან (მისამართი: ქ.თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას ქ. #29/31 საკ/კოდი 01.14.05.006.098) 4 (ოთხი) ძირი (#2, #3, #4, #5) მარადმწვანე კვიპაროზი და 2 (ორი) ძირი (#6, #7) ამერიკული იფანის გადარგვის მომსახურების გაწევა თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებულ გამწვანებულ თარგში (საკ/კოდი 01.14.05.006.111) შპს „ელიტ კონსტრაშენი“-სადმი გაცემული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2018 წლის 10 მაისის N18-01181313155 წერილის მოთხოვნათა შესაბამისად.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 მომსახურების გაწევის ფასი განისაზღვრება ლარებში.

2.2 მომსახურების ჯამური ღირებულება განისაზღვრება 2880.62 (ორი ათას რვაასოთხმოცი და 62) ლარით, თანდართული ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად;

2.3 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადს.

3. ანგარიშსწორების წესი

3.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში შემსრულებლის რეკვიზიტებში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

3.2 ანგარიშსწორება განხორციელდება წინასწარ, მომსახურების გაწევამდე.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1 მომსახურების გაწევის შემდეგ, დამკვეთსა და შემსრულებლის უფლებამოსილ პირებს შორის უნდა გაფორმდეს მიღება–ჩაბარების აქტი.

4.2 შემსრულებლის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტს ხელს მოაწერს პარკების მოვლა პატრონობის სამსახურის უფროსის მოადგილე გივი კანდელაკი.

5. მომსახურების გაწევის პირობები

5.1 მომსახურების გაწევა განხორციელდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, მე-2 მუხლში მითითებული თანხის შემსრულებლის რეკვიზიტებში მითითებულ საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვიდან 14 (თოთხმეტი) სამუშაო დღის განმავლობაში;

5.2 მომსახურება შემსრულებლის მიერ გაწეული უნდა იქნეს სრულად საკუთარი მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით და მუშახელით;

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1 დამკვეთი უფლებამოსილია:

ა) მომსახურების გაწევის დროს განახორციელოს გაწეული მომსახურების წინამდებარე ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობის ინსპექტირება;

ბ) მოთხოვოს შემსრულებელს წინამდებარე ხელშეკრულების ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება;

6.2 დამკვეთი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს გასაწევი მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულების გაფორმებიდან ორი სამუშაო დღის ვადაში.

ბ) შეუქმნას შემსრულებელს მომსახურების გაწევისთვის საჭირო პირობები (დამკვეთის კუთვნილ

ტერიტორიაზე).
გ) დამკვეთს ეკისრება ყველა სახის პასუხისმგებლობა გადასარგავი ხის ქვეშ არსებული ნებისმიერი სახის ქონების (მათ შორის საკომუნიკაციო ქსელების) დაზიანებით შემსრულებლისათვის, თავად დამკვეთისთვის ან მესამე პირისთვის მიყენებული ზიანის აზღაურებაზე, ამასთანავე დამკვეთი სრულად აგებს პასუხს ხე-მცენარეების გადარგვის კანონიერებაზე და პასუხისმგებელია ყველა შესაბამისი ორგანოს/უწყების წინაშე.
გ) მინიმუმამდე დაიყვანოს მომსახურების გაწევის პერიოდში მისი ბრალეულობით შემსრულებლის ტექნიკისა და მუშახელის მოცდენის პერიოდი.
6.3 შემსრულებელი უფლებამოსილია:
ა) მოსთხოვოს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.
ბ) დამკვეთის მიერ ანგარიშსწორების პირობების დარღვევის შემთხვევაში, არ გაწიოს მომსახურება.
გ) დამკვეთის მიზეზით ხე-მცენარეების გადარგვის პროცესის 10 სამუშაო დღეზე მეტი ვადით გადავადების შემთხვევაში შეწყვიტოს ხელშეკრულება;
დ) ამ პუნქტის,,გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევის დადგომისა დამკვეთის მიერ ჩარიცხული თანხები დაბრუნებას არ ექვემდებარება;
6.4. შემსრულებელი ვალდებულია:
ა) უზრუნველყოს მომსახურების გაწევა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, ამასთანავე შემსრულებელს არ ეკისრება არანაირი სახის პასუხისმგებლობა გადასარგავი ხის ქვეშ არსებული ნებისმიერი სახის ქონების (მათ შორის საკომუნიკაციო ქსელების) დაზიანებით დამკვეთისათვის ან მესამე პირისთვის მიყენებული ზიანის აზღაურებაზე, შემსრულებელს ასევე ასევე არ ეკისრება არანაირი პასუხისმგებლობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის შემდგომ პერიოდში გადარგული ხე-მცენარეების სიცოცხლისუნარიანობაზე.
ბ) დაიცვას წინამდებარე ხელშეკრულების პირობები.

7. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

7.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
7.2 რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
7.3 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

8. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

8.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით.
8.2 მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9. ფორს-მაჟორი

9.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო, არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა.
9.2 ამ მუხლის მიზნებისათვის ,,ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული დამკვეთის ან/და შემსრულებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, შემსრულებლის ავტოსატრანსპორტო საშუალების გაუმართაობით, ტრანსპორტირების პროცესში გამოწვეული შეფერხებით და სხვა.

10. სხვა პირობები

10.1 არცერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
10.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
10.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ორი ეგზემპლარი ინახება შემსრულებელთან, ხოლო ერთი- დამკვეთთან.

10.4 ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

10.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეების მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულ შესრულებამდე.

მხარეთა რეკვიზიტები:

დამკვეთი:
შპს „ელიტ კონსტრაშენი“
მისამართი: ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი,
მარიკა ბარათაშვილის ჩიხი N6, ბ.N16
ტელეფონი: 599-566-048
ელ-ფოსტა:
საბანკო რეკვიზიტები:
ს/კ 405023139

ვლადიმერ ხოდელის
დირექტორი

”შემსრულებელი”
შპს “ეკოსერვის ჯგუფი“
მის: ქ. თბილისი, მთაწმინდის რაიონი,
ქუჩა სანაპირო, N 8 (ნაკვეთი 4/27)
ელ-ფოსტა:info@ecosg.gov.ge;
z.gegidze@yahoo.com
საბანკო რეკვიზიტები:
სს ,,ლიბერთი ბანკი“ კოდი: LBRTGE22
ა/ა № GE22LB0113124260741003
ს/კ 404553666

ვახტანგ ნოზაძე
დირექტორი

4 ძირი მარადმწვანე კვიპაროზისა და **2** ძირი ამერიკული იფანის გადარგვის მომსახურების ხარჯთაღრიცხვა

N	ხარჯის დასახელება	განზომილების ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი	ღირებულება
1.	საწვავის ხარჯი:				
1.1	ევრო დიზელის საწვავი სპეც.ტექნიკისთვის-გადამრგველი	ლიტრი	300	2.45	735.00
1.2	ბენზინი პრემიუმი ბენზო ხერხისთვის	ლიტრი	18	2.31	41.58
2	ხელფასის ხარჯი:				
2.1	ბრიგადირი/წამყვანი სპეციალისტი (ერთი კაცი)	კაც/საათი	48	7.81	375.00
2.2	ტექნიკოსი (ერთი კაცი)	კაც/საათი	24	6.06	145.50
2.3	მუშა (ორი)	კაც/საათი	96	3.91	375.00
2.4	მძღოლი (ერთი)	კაც/საათი	43	6.05	291.00
3.	თოკი	გრძ.მ	270	0.34	91.80
4.	არმატურა	კგ.	24	1.26	30.24
				ჯამი	**2,054.83**
				ზედნადები ხარჯი 10%	205.49
				ჯამი	**2,260.37**
				გეგმიური დაგროვება 8%	180.83
				ჯამი	**2,441.20**
				დღგ 18%	439.42
				სულ ჯამი	**2,880.62**

დამკვეთი
შპს "ელიტ კონსტრაქშენი"
დირექტორი
ვლადიმერ ხოდელი

შემსრულებელი
შპს "ეკოსერვის ჯგუფი"
დირექტორი
ვახტანგ ნოზაძე

მიღება–ჩაბარების აქტი

ქ.თბილისი 03 ნოემბერი 2018 წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ შპს „ელიტ კონსტრაშენი“ (შემდგომში „დამკვეთი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის ვლადიმერ ხოდელის სახით და მეორეს მხრივ შპს “ეკოსერვის ჯგუფი“ (შემდგომში „შემსრულებელი“) წარმოდგენილი მისი პარკების მოვლა-პატრონობის სამსახურის უფროსის მოადგილის გივი კანდელაკის სახით, ვადგენთ წინამდებარე აქტს მასზედ, რომ მხარეთა შორის 2018 წლის 25 ოქტომბერს გაფორმეული ხელშეკრულების საფუძველზე, მეორე მხარემ გაუწია პირველ მხარეს დამკვეთის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთიდან (ქ.თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას ქ. #29/31 საკ/კოდი 01.14.05.006.098) 4 (ოთხი) ძირი მარადმწვანე კვიპაროზისა და 2 (ორი) ძირი ამერიკული იფანის გადარგვის მომსახურება თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებულ გამწვანებულ თარგში (საკ/კოდი 01.14.05.006.111).
გაწეული მომსახურების საერთო ღირებულება შეადგენს 2880.62 (ორი ათას რვაასოთხმოცი და 62) ლარს.

დამკვეთი

ვლადიმერ ხოდელი
შპს„ელიტ კონსტრაშენი“
დირექტორი

შემსრულებელი

გივი კანდელაკი
შპს “ეკოსერვის ჯგუფი“
პარკების მოვლა-პატრონობის
სამსახურის უფროსის მოადგილე